№ 43

1877 – 1897

№ 43

შაბათი, 8 მარტი 1897 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვ | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერია

შაბათი, 8 მარტი 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოზოვის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## აზოვი-დონის საკომერციო ბანკი.

დაწესებულია 1871 წელს.

ძირის თანხა . . . . . . . . . 7.500,000 მან.
სათადარიგო . . . . . . . . . 3.700,000 „

**მმართველობა პ. ბანრობშია.**

განყოფილებანი არსებობს: არმავირსა, ბახმუტსა, ბერდიანსკსა, ვარშავასა, კავკავსა, ეისკსა, ეკატერინოდარსა, ეკატერინოსლავსა, კერჩსა, ლოძს, ლუგანსკსა, მარიუპოლსა, მელიტოპოლსა, ნოვოროსისკსა, დონისროსტოვსა, სიმფეროპოლსა, სტავროპოლსა, ტფილისსა, ხარკოვსა, ცარიცინსა და თეოდოსიაში.

საკომისიონეროები: ალექსანდროვსკსა, გიორგიევსკსა, გროზნასა, განჯასა, კამენსკოის სადგურსა და ლოზოვის სადგურზედ.

**ტფილისის განყოფილება**

(სერგისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხე, სახლი აღაბაბოვისა)

კვლავ გამოცვლამდე

| ა ძ ლ ე ვ ს: | | ა ხ დ ე ვ ი ნ ე ბ ს: | |
|---|---|---|---|
| 3% **წლიურს** | უბრალო მიმდინარე ანგარიშზედ. | 6% **წლიურს** | თუ სესხი გაცემულია და გირაოდ აღებულს მთავრობისაგან უზრუნველ-ყოფილი ფასიანი ქაღალდები, საადგილ-მამულო ბანკების გირავნობის ფურცლები და საქალაქო საზოგადოებათა ობლიგაციები. |
| 3½% „ | პირობა-დადებულ მიმდინარე ანგარიშზედ. | 7% „ | თუ გირაოდ აღებულია სხვა, არა უზრუნველ-ყოფილი ფასიანი ქაღალდები და აქციები. |
| 3½% „ | უვადოდ შეტანილ ფულში. | 6½% „ | სპეციალ ანგარიშზედ (on call) უზრუნველ-ყოფილ და არა უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდების გირავნობით. |
| 5% „ | წლითა და მეტის ვადით შეტანილს ფულში. | 7-დგან 8%-მდე | თუ თამასუქებია განაღდებული. |

ბანკის განყოფილება აწარმოებს ყოველს ოპერაციას, წესდებით ნება დართულს, აძლევს შემოთვლით ფულს და აგრეთვე შეთვლით ფულს აბარებს იმპერიის და საზღვარ-გარეთის ყველა იმ ქალაქში მყოფთ, სადაც-კი საკრედიტო დაწესებულებაა დაარსებული. (3—80—2)

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძა: ქუთაისის მაზრის ხაზინის კანცელარიის მოხელედ ნამყოფს, კოლლეჟსკი რეგისტრატორს ნაცვლიშვილს—გუბერნსკი სეკრეტრობა.

დანიშნულ იქმნა: კოლლეჟსკი სოვეტნიკი ყიფიანი—ამ. კავკავის რკინის გზის მეორე ხარისხის სადგურის განყოფილების უფროსად.

გადაყვანილ იქმნა: ახალციხის კანტორის ფოსტალიონი ნესტორ კახიანი—ერევნის სადგურის კანტორის ფოსტალიონად.

## ახალი ამბავი

—

*** როგორც გაზ. „კავკაზს“ შეუტყვია, მარტის შუა რიცხვებში პრინცესა სალომე მიურატს სამეგრელოში ქვრივი იმპერატრიცა ევგენია ესტუმრება და რამდენსამე ხანს დაჰყოფს აქ. თითონ პრინცესა 5 მარტს უნდა დაბრუნებულიყო საზღვარ-გარეთიდგან, ხოლო მისი შვილი ლიუსიენი ხსენებულს იმპერატრიცასთან ერთად დაბრუნდება.

*** აქამდის ამიერ კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთ მხოლოდ ორი მღვდელი ჰყავდათ, რომლებიც, რასაკვირველია, ვერ ასწრობდნენ ურიცხვ მოსამსახურეთა სულიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. რამდენიმე ხანია, რაც ამ გზის უფროსმა მღვდელმა იროდიონ ნანაბაშვილმა სთხოვა ცალკე ყოვლად მაღალ უსამღვდელოესს არქიელს და ცალკე კიდევ რკინის გზის მმართველობას, გაეყოთ მთელი გზა რამდენსამე სამრევლოდ და სამი მღვდელიც სხვა დაენიშნათ. ეხლა ეს თხოვნა შეუწყნარებიათ და სამი მღვდელიც დაუნიშნავთ, ხაშურს, განჯასა და ბაქოში.

*** რუსეთის მეფუტკრეობის საზოგადოება შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, ნება დაგვრთეთ, რომ მიმდინარე წლის დამლევს ტფილისს, ეკატერინოდარსა და კავკავში ადგილობრივ მეფუტკრეები მოვიწვიოთ და კრების დროს ადგილობრივ მეფუტკრეობის გამოფენა გავმართოთო.

*** ტფილისის ცხენის რკინის გზის მეაქციეთა საზოგადოებას, როგორც ხმა დადის, ყორღანოვის და ამხ. კუთვნილი ავჭალის ცხენის რკინის გზა ყოველივე მოწყობილობით, ცხენებით და სხ. უკვე შეუსყიდიათ ნახევარ მილიონ მანეთად, იმ პირობით, რომ ეს ფული ყოველ წლობით ოცდაათ—ოც-და-ათიათას მანეთობით გაისტუმროს.

*** 1895 წ. კავკასიის უმთავრეს ულელ-ტეხილზედ გამოკვლევა მოახდინეს და დიდ-ძალი მასალა შეჰკრიბეს იმ აზრით, როგორ და რა-და-რა ადგილებში უნდა იქმნას იქ რკინის გზა გაყვანილიო. ეხლა, როგორც კავკასიის რკინის გზის მართველობას ცნობა მოსვლია, გზათა მინისტრის შუამდგომლობით უმაღლესს მთავრობას 15,000 მან. გადაუდვია, რომ ის გამოკვლევა შევსებულ იქმნასო.

*** გაზ. „ტიფ. ლის.“-ი ამბობს: გორის მოქალაქე გიორგი სულხანის ძე ამირაღოვი სისხლის სამართალში მიუციათ, რადგან ის ბრალი ედებოდა, რომ შარშან, 12 ივლისს, საცა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი საჯარო ვაჭრობითა ჰყიდდა ანდრია ტურაშვილის მამულს, 2,880 მან. დაფასებულს და 1,200 მან. დაგირავებულს, იმან ქრთამით, საჩუქრებით თუ სხვა რიგად ყველა მოვაჭრენი შემოიცალა, რომ ვაჭრობაში მონაწილეობა აღარ მიეღოთ. ასეთი ბრალი ისჯება სასჯელთა დებულების მე-1181 მუხ. ძალით.

*** გუშინ-წინ, 6 მარტს, ტფილისის მესამე ნაწილის მომრიგებელ მოსამართლე ბ-ნი წინამძღვარიშვილი არჩევდა საქმეს ცნობილ ლოთობის ვითომ-ექიმის მიხეილ ალავერდოვისას, რომელსაც უჩიოდა თავისი მეეტლე მედვედევი, ჯამაგირს არ მაძლევსო, და ამ დროს შემდეგი ამბავი მოხდა: როდესაც მოსამართლემ ჰკითხა, რატომ არ აძლევთ ჯამაგირსო, ალავერდოვმა უპასუხა, რომ ლოთობს და იმიტომაო, თუ ლოთობს, ლოთობის ექიმობასაც თქვენ ჩემულობთ და რატომ არ განკურნავთ თქვენსავე მეეტლეს, მადლიაო, შენიშნა მოსამართლემ. რის ექიმი, ვის არჩენსო, სთქვა ამის გამგონე მეეტლემ: ატყუებს ქვეყანას, ბ-ნო მოსამართლეო. ამ ამბავმა ისე გაამწარა ალავერდოვი, რომ უბიდგან მთელი გროვა წერილებისა ამოიღო და მოსამართლის სტოლზედ დაახეთქა ისე მაგრად, რომ ბ-ნს წინამძღვარიშვილს მოჰხვდა ზოგიერთი წერილი,—აი, თუ არ ვარჩენ, ეს რა არისო?! მოსამართლემ ასეთის საქციელისათვის ალავერდოვს ოქმი შეუდგინა და ბრალმდებელს გადასცა.

*** კავკავი. ხმოსნების არჩევანი გათავდა. ამორჩეულთა შორის 11 სომეხია და 1 ქართველი—მოზდოკელიშვილი.

*** სოხუმი. აქ ს. შელიამ თავის მოკვლა განიზრახა. ამ აზრით, როდესაც იდროვა, სამჯერ დაიცა რევოლვერი; პირველად შუბლში, მაგრამ ასცილებია და თვალის ზემოთი ტყავი შეუგლეჯია ტყვიას, მეორედაც ასცილებია და მესამეჯერ-კი პირში შეუყვია რევოლვერი და ისე გაუსროლია. ტყვიას ცოტა ენა და უზიანებია, ხახაში მოხვედრია და უკან კეფა გაუტანია და გასულა კიდეც. თავის მკვლელს როცა ჰკითხეს, რადა ჰქენიო, უპასუხა: ასე მსურდა, ავად ვიყავი და დიდხანს წვალებას ეს ვარჩიეო. ყმაწვილი ჯერ ცოცხალია და მორჩენის იმედსაც იძლევიან მკურნალნი. ხოლო რაც შეეხება მიზეზს თავის მკვლელობისას, ეს ნამდვილი ჯერ არავინ იცის. ყმაწვილი სულ არ იყო ავად და არც გასაჭირი რამე შეხვედრია ცხოვრებაში.

*** სოფ. ზემო-ალვანი. წარსული თებერვლის 24-ს ახალმა მელოგინემ ნინო ღლაშვილმა ხანჯალი დაიკრა გულის კოვზთან. რამ აიძულა იგი ამად, არავინ იცის, მხოლოდ თვითონ-კი ყველას იმას ეხვეწებოდა, ჩემი საქციელი არავის დააბრალოთო. უბედური ამ მარტის ორს გარდაიცვალა და ახლად დაბადებული ვაჟი დასტოვა ობლად. როგორც მომეტებული ნაწილი თუშების მამაკაცებისა, ნინო ღლაშვილის ქმარი გიორგი შირაქშია მცხვარში და მელოგინეს მეპატრონედ მხოლოდ მოხუცი დედამთილი იყო დარჩენილი. დედამთილიც იმ დილიპ, რა დღესაც დაიჰრა თავი ნინომ, მეზობელთან გასულიყო.

*** 4 მარტს, საღამოს 8 საათზედ, სასტუმრო „ლონდონის“ მახლობლად ა. კ. ჩაჩიკაშვილს, რომელიც ერთის ქუჩიდგან მეორეზედ გადადიოდა, გამოქანებული ეტლი დაეტაკა და ფეხი მოსტეხა. ჩაჩიკაშვილი მიხეილის საავადმყოფოში იქმნა წაყვანილი, სადაც ექიმებმა შემწეობა აღმოუჩინეს.

*** 4 მარტს, ღამით, მიხეილის ქუჩაზედ გიორგი მიხეილის ძე დოლუხანოვს აფიცრის პალტო, შინელი, ნაბადი, საზამთრო რუხი და შავი პალტო მოჰპარეს. დაკარგული ნივთები, რომლებიც 200 მანეთამდის ჰფასობს, ქურდს დაუკეტელის ფანჯრიდგან გადუტანია. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ქურდი დოლუხანოვის მსახური ნასხი ძახაშვილი, დუშეთის მაზრის, სოფ. უდოურეთის მცხოვრები ყოფილა. დამნაშავე უკვე დაატუსაღეს.

*** 6 მარტს, ღამით, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში ნიკოლოოზ კარლის ძე ანნარაუტმა კარბოლის სიმჟავით თავი მოიწამლა. ანნარაუტი ხსენებულის საავადმყოფოს ზედამხედველად იყო და წინა დღეს სამსახურიდგან დაეთხოვნათ. გამოძიება სწარმოებს.

## კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების კრება.

7 მარტი

კრების დაწყებისათანავე საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა უგანათლებულესმა თავადმა პ. ა. გრუზინსკიმ ზაქათალის ოლქის, სოფელ კახის მემამულეს, ჰაჯი-იზმაილ-ოღლის, გარდასცა ოქროს მედალი, რომელსაც მეორე გვერდზედ აწერია: „გულმოდგინებისათვის“, წითელის ლენტით, ყელზედ სატარებლად. ეს მედალი ჰაჯი-იზმაილ-ოღლის უმაღლესის ბრძანებით მიწად-მოქმედების მინისტრმა უბოძა საუცხოო მებაღეობისათვის, რომლის ნიმუში (სხვა-დასხვა ხილეულობა) სამეურნეო საზოგადოების საბჭოს შარშან სამინისტროში გაუგზავნია. სანამ მედალს გარდასცემდა, თავმჯდომარემ მოკლე სიტყვა უთხრა ჰაჯი-იზმაილ-ოღლს. ამ უკანასკნელმა, ჩამოართვა-რა მედალი, ყელზედ დაიკიდა, თავმჯდომარეს მადლობა გარდაუხადა და თათრულს ენაზედ მოკლე სიტყვა მოახსენა.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ კრებას აუწყა, რომ დღემდის ჩვენის გაზეთის „კავკ. სელს. ხოზიაისტვოს“ გადატანისთვის ფოსტის გამგეობა არას გვახდევინებდა, ხოლო ამ ჟამად შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიწად-მოქმედების სამინისტროსთან მოლაპარაკებით დაადგინა, წელიწადში წლიური ნომრის გაგზავნის ქირა 56 კაპ. ვიხადოთო.

ბოლოს თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა თავისი მოხსენება წაიკითხა, რომელიც მრავალ მხრივ საყურადღებოა და შეეხება საქართველოს ვენახების სხვა-და-სხვა სენს და იმისს წინააღმდეგ საბრძოლველ ღონისძიებათა ხმარებას. მოხსენებაში დაწვრილებით არის ჩამოთვლილი, გურია-სამეგრელოს ძვირფასი მაღლარი ვენახები ამ უკანასკნელ 30—40 წლის განმავლობაში ნაცარმა როგორ გაანადგურა. ისიც მოხსენებულია, რომ იქაურმა ხალხმა „იზაბელას“ ვაზი („ადესა“) მოაშენა, მაგრამ „იზაბელამ“, როგორც დაბალის ხარისხის ვაზმა, მაღლარის მაგიერობა ვერ გასწიაო. სავსებით არის აღწერილი, 1879 წლიდგან მოყოლებული ფილოქსერა როგორ მოედო დასავლეთ საქართველოს ვენახებს და როგორ ხელცარიელი დასტოვა იქაური ვენახის პატრონები. თავ. ანდრონიკაშვილი შემდეგ მოგვითხრობს, 1887 წლიდგან მოყოლებული ობი (მილდიუ) და, ალაგ-ალაგ ნაცარიც, როგორ ანადგურებს ქართლ-კახეთის ვენახებს, მომეტებულად კახეთისას, საცა მევენახეობა იქაურ მკვიდრთა ცხოვრების ერთად-ერთს სახსარს შეადგენს. ავტორმა გულმტკივნეულად აღნიშნა, რომ წარსულს წელში კახეთში ბლეკ-როტი აღმოჩნდა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა თვით საფრანგეთშიაც უძნელდებათო და სხ.

თავადი ანდრონიკაშვილი საფუძვლიანად აღიარებს, რომ სხვა-და-სხვა პატივსადებ მიზეზის გამო სოფლის ხალხი უძლურია ვენახებს რიგიანად უწამლოსო და ამიტომ, სანამ ჯერ კიდევ ვენახები სულ არ მოსპობილა, ჩვენი საზოგადოება მოვალეა, ვენა-

ხების პატრონთ დახმარება აღმოუჩინოსო. მოხსენების ავტორის აზრით, საზოგადოება ამ რიგად უნდა დაეხმაროს ვენახების პატრონთ:

1) უნდა გაავრცელოს ხალხში ვენახების რიგიანი წამლობა, რისთვისაც საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში ამ საქმის მცოდნე კაცებს იყოლიებს; ესენი ხალხს აჩვენებენ, როგორ და რა დროს უნდა სნეულს ვენახებს წამლობა; რა შედეგი მოჰყვება ამ წამლობას და ამასთანავე რამდენად დაჯდება ეს წამლობა. ერთის სიტყვით იმ ადგილებს, სადაც ეს მცოდნე კაცები იქნებიან, პრაქტიკული სასწავლებლის ხასიათი ექნება.

2) საზოგადოებამ წამლის მასალები და მანქანები უნდა გამოიწეროს რაც შეიძლება იაფად და იმათი საწყობები უნდა გაიმართოს ტფილისს, როგორც საშუალო ადგილას, და საქართველოს სხვა-და-სხვა მხარეს წამლის მასალა და მანქანები მსურველთ მცირედის მოგებით დაეთმობათ, რომ ეს მოგება ამავე საქმის გავრცელებას მოხმარდეს. რაღა თქმა უნდა, მასალები და იარაღები მსურველთ ნისიადაც მიეცემა, როცა ეს შესაძლებელი იქნება.

და 3) რადგან სოფლის ხალხი ღვინოს რიგიან ფასად ვერა ჰყიდის და ეს გარემოებაც დიდად უშლის ხელს, რომ ვენახს უწამლოს, საზოგადოებამ ღონის ძიება უნდა გამოსძებნოს ღვინისათვის რიგიანის ბაზარის მოპოვებისა.

ყოველივე ამ საქმის განხორციელებისათვის საჭიროა, საზოგადოებამ სოფლის მემამულეთა შეგნებული ნაწილი დაიხმაროს და თავისს წევრთა შორის რამდენიმე კაცი აირჩიოს, რომლებიც მთავარს კამიტეტს უნდა შეადგენდნენ. ეს კამიტეტი, სადაც საჭიროდ დაინახავს, თავისს განყოფილებას გაჰმართავს და იმათის შემწეობით საქმეს რიგისამებრ წარმართავს.

ეს მოხსენება უკვე განუხილავს კამისიას, რომლის წევრებად არჩეულნი იყვნენ თითონ თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, არ. ს. ფირალოვი, ბ-ნი ტარატინოვი და თავ. ვაჩნაძე და დაუდგენია შემდეგი:

1) წელსვე დაინიშნოს მცოდნე კაცები, რომლებიც ვენახების ექიმობას გაავრცელებენ ხალხში;

და 2) რადგან დაგვიანებულია, რომ წელსვე წამლის მასალებისა და მანქანების საწყობები გაიმართოს, საზოგადოების კრებას მოხსენდეს, რომ მან ეხლავე თავისს წევრთა შორის 5 კაცი აირჩიოს, რომლებიც მთავარ გამგე ბიუროს უნდა შეადგენდნენ და უნდა დაევალოთ:

ა) სთხოვონ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წრეყანდელს საზოგადო კრებას, რომ სამეურნეო საზოგადოებას ვენახების საექიმოდ საშუალება აღმოუჩინოს იმ თანხიდგან, რომელიც დაარსებულია სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისთვის;

ბ) სთხოვონ საზოგადოების პრეზიდენტს,—იშუამდგომლოს, რომ ვენახის წამლის მასალასა და მანქანებს დამოჰქნის ბაჟი და გზის ხარჯი დააკლონო;

გ) უცხო ქვეყნის ფირმებთან დამოკიდებულება იქონიოს, რომ იმ ფირმებმა, რამდენადაც შეიძლება, წამლის მასალები და მანქანები დაბალ ფასად დაგვითმოსო;

დ) შეძლებისა დაგვარად ეცადოს, რომ ვენახების წამლობა ყველგან გავრცელდეს;

ე) თავის დროზედ აცნობოს საზოგადოებას, სად და რა ადგილას უნდა დაარსდეს წამლის მასალებისა და მანქანების საწყობები;

ვ) ეცადოს, რომ იპოვნოს ისეთი კაცები, რომლებიც საწყობებს განაგებდნენ;

ზ) იშუამდგომლოს ბ-ნ გუბერნატორის წინაშე, რომ იმ თანხიდგან, რომელიც თითოეულს სოფელშია დაარსებული სოფლის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ჩვენს საზოგადოებას ვენახების საექიმოდ ფული ასესხოს;

და Ը) თავ. ან დრონიკაშვილის მოხსენება სამეურნეო საზოგადოების განყოფილებათაც წარედგინოს განსახილველადო.

დასასრულ საზოგადოებამ ამ მთავარ-გამგე ბიუროს წევრებად აირჩია: ვ. ნ. გეევსკი, თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ბ-ნი ტიმოფეევი, პეტრე ყიფიანი და ს. ა. დანდუროვი.

---

### სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების კრება.

4 მარტს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ადგილობრივს განყოფილებაში მორიგი კრება იყო ბ-ნ სამხედრო გუბერნატორის თავმჯდომარეობით. აქ წაიკითხეს ბ-ნ გუბერნატორის წარსულის წლის მოხსენებიდგან ის ადგილი, რომელიც შეეხება ქუთაისის თავად-აზნაურობის ეკონომიურად დაქვეითებას და იმ საშუალებათა, რომელთ შემწეობით შეიძლება იგი გაუმჯობესდეს. ეს მოხსენება პასუხია სამინისტროს იმ კითხვისა, თუ რა საშუალებით შეიძლება დაცემული ეკონომიური და გონებრივი მდგომარეობა ქუთაისის თავად-აზნაურობისა აღდგეს და გაუმჯობესდესო. ვიდრე გუბერნატორის მოხსენების კითხვას შეუდგებოდნენ, წაკითხულ იქმნა ბ-ნ ქუთაისის გუბერნიის მარშლის მოხსენება, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ზემოხსენებულ საგანთან და რომელიც მას წარუდგენია სახელმწიფო ქონებათა მინისტრისათვის ამ ორის წლის წინად. ამ მოხსენებაში მშვენივრად არის დასურათებული საზოგადოდ ჩვენის ქვეყნის შევიწროებული ეკონომიური მდგომარეობა და კერძოდ თავად-აზნაურობისა. მოხსენებულია ის გარემოებაც, რომ ქუთაისის გუბერნია, მოკლებული სოფლობას (земство), იმყოფება იმისთანა მდგომარეობაში, რომ არ შეუძლიან თავისს თავს თვითონ უპატრონოს, და იძულებულია შემწეობისათვის მთავრობას მიჰმართოსო. 710,000 მანეთიდან (земскія суммы), რომელიც იკრიბება ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთაგან, მხოლოდ ნახევარი იხარჯება ადგილობრივის საჭიროებისათვის, დანარჩენი სხვა გუბერნიების საჭიროებას ჰხმარდება. სოფლობა რომ არსებობდეს, ეს ფული აქვე დატრიალდებოდა ჩვენის მრავალ გვარის საჭიროების დასაკმაყოფილებლადაო.

მარშალი მოხსენებას ათავებს თხოვნით, რომ ბ-ნ მინისტრმა გვიბოძოს საშუალება, თითოეულს მაზრაში თითო დასაწყისი სამეურნეო სასწავლებელი დავაარსოთ და ერთი საშუალო—ქ. ქუთაისში.

ბ-ნ გუბერნატორის მოხსენებიდგანაც ცხადადა სჩანს უნუგეშო მდგომარეობა თავად-აზნაურობისა, რომლის რიცხვი ქუთაისის გუბერნიაში შეადგენს 52,000 სულს. ადგილ-მამული ამ წოდებისა არის სივრცით 815,000 დესეტინა; აქედგან ერთი მესამედი ეკუთვნის ცხრა შეძლებულ მემამულეს, დანარჩენი რიცხვი სულ მცირედის მამულის პატრონებისაა და ბევრი სრულიად უმამულოდაც არის დარჩენილი. თავად-აზნაურობამ გონივრულად ვერ მოიხმარა ის ფული, რომელიც მიეცა ყმების განთავისუფლების შემდეგაო: ეს ფული არ მოხმარდა მამულის გაუმჯობესებას. ვერც საადგილ-მამულო ბანკმა აღმოუჩინა ამ წოდებას სასურველი შემწეობაო და ამ გვარად ეხლა თავად-აზნაურობა მეტის-მეტად გაჭირვებულს მდგომარეობაში იმყოფებაო. ხოლო გლეხობა შედარებით უმჯობეს მდგომარეობაშია. გლეხობას ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში, 1885—1895 წლამდის, შეუძენია თავად-აზნაურობისაგან 15,790 დესეტინა მამული. თავად-აზნაურობას-კი ამავე დროის განმავლობაში 37,000 დესეტინა დაუგირავებია. მოხსენებულია ის გარემოებაც, რომ თავად-აზნაურობა მისჩერებია უმთავრესად სიმინდის თესვა-მოყვანას და ამის ვაჭრობას. სიმინდს-კი ახლა გასავალი აღარ აქვს, რადგან ბაზარში ცილობას ვერ უწევს სხვა ქვეყნის სიმინდსა. ამ გვარად, ეს სახსარიც ცხოვრებისა თანდათან ხელიდგან ესპობაო. გუბერნატორის აზრით, საჭიროა მთავრობის ყურადღება მიექცეს თავად აზნაურობას იმ მხრივ, რომ იგი არ მოსცილდეს ნიადაგს და არ შეიქმნეს ბოგანო წოდებად. და რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა გავრცელდეს ამ წოდებაში პროფესიონალური და სამეურნეო

---

# ფელეტონი

## ნაწყვეტი

ჩინ-ჩუნიანი პოეტსა
ამაყად ეუბნებოდა:
—შემხედე, მიცან, ვინა ვარ!
პოეტიც ეზრახებოდა:
—გიცნობ, დათუნავ ქვემძრომო,
კურტანი მოგიხდებოდა,
ეგ შენი ტყავიც, დიდ-ყურავ,
ქალმებად გამოდგებოდა.

დ. მაჩხანელი

---

## უცხოთა შორის

ინგლისის ქალაქი ლონდონი.—ქუჩები და ხმაურობა.—სიმრავლე განცხადებისა.—ქუჩის ორატორები, მომღერალნი და ექიმნი.—პონჩის წარმოდგენა.—ნისლი და ბურუსი.—ლონდონის სახლები.

ლონდონი უდიდესი ქალაქია დედამიწის ზურგზედ. თვით ბუნებამ განაძლიერა ეს ქალაქი და მთელი ინგლისი. ინგლისს გარშემო ზღვები არტყია და აქვს მრავალი მშვენიერი ნავთ-სადგური და აუარებელი ქვის ნახშირი. ინგლისელები განთქმულნი არიან მამაცობით, შრომის მოყვარეობით, მხნეობით და თავისუფლების სიყვარულით.

ლონდონისთანა სხვა ქალაქი არ მოიპოვება ქვეყანაზედ არც სიდიდითა და არც მცხოვრებთა სიმრავლით. აქა სცხოვრობს ხუთ ნახევარი მილიონი ხალხი. ამ გვარად ლონდონში უფრო მეტი ხალხია, ვიდრე მთელს ჩვენს საქართველოში.

ახლა იფიქრეთ, რა დიდი მოძრაობა უნდა იყოს ამ ქალაქში, რომელიც მცხოვრებთა რიცხვით ზოგიერთს მთელს სახელმწიფოს ედრება. ახლად მისული კაცი სწორედ რომ გაოცდება ხალხის საშინელის ხმაურობითა და მოძრაობით. ძლიერ გაგიკვირდებათ, ეს ამოდენა ხალხი, ეს ამოდენა ეტლები როგორ იგნებენ გზას, როგორ დადიან და ერთმანერთს რატომ არა სთელავენო. ლონდონის ქუჩაზედ ყოვლად შეუძლებელია ნელის ნაბიჯით სიარული. ვაი იმის ბრალი, ვინც პირს დააღებს, აქეთ-იქით ცქერას დაიწყებს, და ერთს ალაგას გაჩერდება: მაშინვე ფეხით გასთელავენ და ამ ამბავს ყურადღებასაც არავინ მიაქცევს. მეტი გზა არ არის, მიმავალს ხალხს უნდა მიჰყვეთ. ყველა სადღაც ეჩქარება, ყველას საქმე აქვს. ერთმანერთს ხელს ჰკრავენ გვერდში, ზურგში, გულში, ჩქარა გზა მომეციო. საშინელი ყვირილი შეუჩვეველს კაცს გამოაბრუებს.

სახლები იმ სიმაღლეა, რომ თვალს ვერ აუწვდენ. მატარებლების ხმაურობა ხომ სულ ყურებს გამოუჭედავს ადამიანს. ეტლებს თვლა არა აქვს. ხალხით გაჭედილი დელიჟანები, ომნიბუსები, ცხენის რკინის გზის ვაგონები დილით საღამომდე დადიან საოცარის სისწრაფით.

ლონდონი განცხადებების ქალაქია. ფეხს ვერ გადასდგავთ ისე, რომ განცხადებას არ წააწყდეთ. აგერ, მოხუცებული კაცი მოდის. გულსა და ზურგზედ უშველებელი ფიცრები ჰკიდია, ზედ დიდრონის ასოებით აწერია, მავან მაღაზიაში ესა-და-ეს ნივთები იყიდებაო. ამასთან განცხადებები უჭირავს, გამვლელსა და გამომვლელს ხელში აჩეჩებს. ზოგი განცხადება მაღაზიისაა, ზოგი სარწმუნოების საწინააღმდეგოა, ზოგი მთავრობისა.

ეს რაღაა? პატიმრები მოჰყავთ. დიაღ, პატიმრები არიან, თავ-მოპარსულნი, ხელ ფეხში ბორკილ გაყრილნი, გძელს ფარაჯებს აწერია: „14 დღით დაპატიმრება“. პატიმრებს ჯარი ახლავს... უკაცრავად არ გახლდეთ, ეს პატიმარნი და ჯარის კაცნი თეატრის განცხადების დამტარებელნი არიან. დღეს თურმე ლონდონის თეატრში თამაშობენ ახალს პიესას, რომელსაც სახელად „14 დღით დაპატიმრება“ ეწოდება.

აი კიდევ პაწია ეტლი, ყვავილებით მორთული. შიგ ლამაზი ყუთები აწყვია, ტკბილეულით სავსე. ამ ეტლს მეორე ეტლი მისდევს. შიგ მდიდრულად ჩაცმული ქალები სხედან, ხელში ბაირაღები უჭირავთ. ბაირაღებს აწერია, ამა-და-ამ ადგილას ახალი მაღაზია გავაღეთ ტკბილეულობისაო. დუქნების წინ ხის კაცები სდგანან გამოჭიმულნი და ხელში განცხადება უჭირავთ. ერთის სიტყვით, საითაც მიიხედავთ, თვალში განცხადება გეჩხირებათ. განცხადება აკრავს სახლის კედელს, ღობეს, ფარნის სვეტს, ეტლს, ომნიბუსის ჭერს, ხიდის თაღს. ნავით რომ გაიაროთ ხიდის ქვეშ და თაღს შეჰხედოთ, აქაც-კი განცხადებას დაინახავთ.

საღამოობით შეგხვდებიან კაცები, ქაღალდის წოწოლა ქუდით; ფერადს ქაღალდზე ფერადის ასოებით განცხადებაა დაწერილი. ასეთს ქუდში (თუ გნებავთ, ფარანი დაარქვით) სანთელი ანთია და განცხადებას ანათებს. აი კიდევ ეტლი:‚ ზედ მთელი სახლია ქაღალდისა, გარშემო სულ განცხადებებით არის მოფენილი. ზოგჯერ მთელი ჯარი შეგხვდებათ განცხადების დამტარებლებისა. მოდიან მუსიკით, ყვირილით, ბაირაღებით, რომლებზედაც განცხადებებია დაბეჭდილი, ან არა და ხელში გრძელი სარი უჭირავთ, რომლის წვერზედაც ისევ განცხადებაა ჩამოკიდებული.

აგერ კიდევ საგანგებოდ განცხადებისათვის გაკეთებული მწვანე ეტლი. ცხენს ზურგზედ აზის გაწრთვნილი ძაღლი და რაც შეუძლიან, ჰყეფს. ხალხი უნებურად იხედება და კითხულობს განცხადებას. ხშირად რიხიან ხმის კაცებს დაიქირავებენ ხოლმე, რომლებიც ჭყუჩა-ქუჩა დადიან ბ გამვლელსა და გამომვლელს შიგ ყურში ჩასძახიან, ამა-და-ამ ალაგას კარგი საქონელი იყიდებაო.

ვიწრო ქუჩებში ყველგანა სდგას ორთქლის პატარა ღუმელები, ზედა ხარშავენ კართოფილს, სწვამენ წაბლს და ჰყიდიან. წვანილის გამყიდავი ეტლით დადის, სახედარი უბია; თითონ ეტლის ღერზედ შემდგარა და, რაც ძალი და ღონე აქვს, ჰყვირის. „მწვანილი იყიდეთო“. აქა იქ დედაკაცები სხედან და ხილსა ჰყიდიან. ერთს კუთხეში შლაპოსანი ვაჭარი ლოკოკინას ჰყიდის. აქვე „არღანი“ უკრავს, მის სიახლოვესავე მეჩონგურე აწრიპინებს. მეორე კუთხეში ვიღაც კაცი ჰყიდის წამალს, რომელმაც ვითომ ყოველის სენისაგან უნდა გაჰკურნოს ადამიანი. იმდენ ხანს უკრავს დალაბანდს ეს ვაჭარი, ვიდრე ერთი-ორი კაცი არ მივა მასთან, ვნახოთ, აქ რა ამბავიაო.

„აი ხველების წამალიო,—ყვირის ქუჩის ექიმი,—მე ამ წამალს ერთი ხუთასად ნაკლებად ვყიდი, ვიდრე აფთიექებში ჰყიდიან. მერე რადა ჰყიდი ეგრე იეფადაო, ჰკითხავთ. იმიტომ, რომ ხალხი მეცოდება, ვიცი, რა ძნელი საშოვნელია ფული. მეორე ამ ვაჭარს სრულებით არა ჰგავს და გაიძახის: „არ დაიჯეროთ ჩემი სიტყვა, პატიოსანო ხალხო, მე მატყუარა ვარ. ჩემისთანა ტყუილები არავინ იცის. დაბადებით დამყვა მე ტყუილის ლაპარაკი. პატარა რომ ვიყავი, დედ-მამა მცემდა, მართალი რომ მეთქვა რამე, და ამ გვარად ტყუილს მიმაჩვიეს. მაგრამ თქვენ ჩემი სიტყვა რად გინდათ? რა გენაღვლებათ, მართალს ვიტყვი, თუ ტყუილს. თქვენ საქონელი ნახეთ და იყიდეთ. გარწმუნებთ, ამ საქონელს ჩემზედ იეფად ვერსად ვერ იყიდით. მიზეზი ის არის, ბატონებო, რომ მე ყველაფერს ნისიადა ვყიდულობ და ვალს-კი არასოდეს არ ვიხდი. ამ რიგად, რაც უნდა იაფად გავყიდო, მაინც მოგებაში ვიქნები. ამ ქუჩის ორატორებს ბევრს სწავლა-განათლება აქვთ მიღებული და ჩვენის ბანკის ორატორებს არ ჩამოუვარდებიან, მაგრამ სიზარმაცესა და ლოთობას ჭეშმარიტ შრომისათვის ხელი აუღებინებია.

სასწავლებლები, სადაც მოზარდ თაობას ექნება საშუალება, შეიძინოს ის დარგი ცოდნისა, რომელსაც ადვილად გამოიყენებს ცხოვრებაში. მაგალითად, სადაც ადგილის თვისება ხელს უწყობს მცხოვრებლებს ვაზის მოშენებისა და ღვინის კეთებისთვის, იქ დაარსდეს მევენახეობისა და მეღვინეობის სასწავლებელი; სადაც აბრეშუმი მოდის, იქ მეაბრეშუმეთა სასწავლებელი; სადაც ნიადაგი ბოსტნეულობისათვის გამოსადეგია, იქ მებოსტნეთა სასწავლებელი და სხ. ფოთსა და ბათუმში საჭიროა საკომერციო და საზღვაოსნო სასწავლებელთა დაარსება.

შემდეგ ბ-ნმა გუბერნატორმა სთხოვა კრებას, რომ თუმცა მე ჩემი მოხსენება უკვე გავგზავნე, სადაც ჯერ არს, მაგრამ თუ კრება ჰპოვებს საჭიროდ, კიდევ დაემატოს რამე ამ მოხსენებას, ამოირჩიეთ კომისია, იმან შეავსოს ეს ნაკლი და ამ შევსებას მე დამატებასავით გავგზავნი სამინისტროშიო. კრებამ ამ საგნისათვის ამოირჩია კომისიის წევრებად მარშლის თავმჯდომარეობით: ბ-ნნი გ. ზდანოვიჩი, თ. პ. თუმანიშვილი, ს. ღოღობერიძე, სტ. ხოჯაევი, თ. პ. წულუკიძე და სამეურნეო სკოლის მასწავლებელი მკურნალი.

ამ სხდომაზედვე აზ. შარაძენიძემ სთხოვა კრებას, რომ იმისს სოფელში, ტობანიერს, გაეგზავნათ მცოდნე აგრონომი ახალის სისტემის გუთნით, რომ გაესინჯა ადგილობრივი ნიადაგი და ეჩვენებინა ხალხისათვის, რა ნაირად იხმარება ეს გუთანი. კრებამ ეს თხოვნა შეიწყნარა.

ზიარელი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

„კურსკის საგუბერნო უწყებანში“ ერთი საყურადღებო საგანი აღძრულა. ეს საგანი ის არის, რომ საჭიროაო ქალებსაც სასოფლო სამეურნეო სწავლა-ცოდნა მიეცეს. გაზეთის აზრით,

იმ დრომდე, ვიდრე ქალის შრომა სასოფლო მეურნეობისაკენ არ იქმნება მიქცეული, მარტო კაცები ვერას იზმენ. საჭიროა, რომ ქალს უყვარდეს სასოფლო მეურნეობა, ხოლო ეს სიყვარული-კი მაშინ იჩენს თავს, როდესაც ამ საქმისათვის იგი მომზადებული იქნება. მაშინ შეატყობს, უკადრისობს ქალი ამ შრომას, თუ ახლა უმეცრია მისთვის იშრომოს მხოლოდ იმიტომ, რომ უვიცაა, უცოდინარია ამ საქმისაო.

მამაკაცს ქმის, პედაგოგს ხომ ვერავინ მოსთხოვს, რომ ხუროთმოძღვრება ანუ ტეხნიკოსობა დაიწყოს. მაშ რადა ნება გვაქვს, რომ ქალი, შევა თუ არა სოფელში, მშვენიერი სოფლის მეურნე შეიქმნას. თუნდა ნასწავლიც იყოს და სწავლის მოწმობაცა ჰქონდეს, სოფლის მეურნეობას როგორ შეიძლებს, როდესაც არა ესმის-რა არც საქონლისა, არც ბაღ-ბოსტნისა, არც ვენახისაო?

ამ გაზეთის სიტყვით, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს განზრახვა აქვს მოიწვიოს მცოდნენი სათათბიროდ და სჯა-ბაასი გაჰმართოს იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი ვიღონოთ დედათა შორის სასოფლო სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელებისათვისაო. მაშასადამე, ეს საგანი ცხოვრების მიერ უკვე წინ წამოყენებულია ჩვენდა გარდასაწყვეტად და იმედია, ნაკლი დედათა სწავლა-ცოდნისა მერმისში მაინც აცილებული იქნებაო.

* *

დიდი ხანია ცნობილია, რა ძნელია გაზეთის მუშაკად ყოფნა, იმ საშინელის შრომის ატანა, რომლის გათვალისწინება ბევრს გაზეთის მკითხველს წარმოდგენითაც-კი არ შეუძლიან. აი, ამ შრომის დასასურათებლად რასა სწერს ქ-ნი სკავრონსკაია ჟურნალ „Наблюдатель-ში:

ოცი წელიწადი ვემსახურე გაზეთსაო, ამბობს იგი: და ამ ხანში ბევრჯელ ვიყავ მოწმე გაზეთის თანამშრომელთა მოქანცვისა და წრეს გადასვლით მოღალვისა. მაგალითებრ, „Совр. Изв.“-ის თანამშრომელი ისე მოიქანცა შრომით, რომ იძულებული იყო მუშაობისათვის თავი დაენებებინა, თუმცა სულს აქეთ არა მოუძებნებოდა-რა საცხოვრებლადა და თავის დასარჩენად. კორრექტორი-ქალი მთელის წლის განმავლობაში მარტო კითხულობდა გაზეთის კორრექტურას და ასწორებდა შეცდომებს. წლის გასულს ჩემს თვალ-წინ გამოვარდა ოთხიდგან ფერ-მკრთალი და გარეთ გავარდა: ისე მოქანცულიყო, რომ თვალ-წინ ათასი რამ ელანდებოდა. ერთი თანამშრომელი ბევრსა კითხულობდა გაზეთებს და სწერდა და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ სადაც გაზეთს დაინახავდა, მარდებბის განკალ-ცახცახი აუვარდებოდა ხოლმე. მე თითონ დამემართა რამდენჯერმე, რომ სიძულვილითა და ზიზღით დავუწყებდი ხოლმე ცქერას კალამსა, ქაღალდსა და გაზეთებს. ერთხელ ექიმმა მირჩია, რომ სულიერად თქვენის სიმრთელის პასუხის-გებას ვერ ვიკისრებ, თუ სოფლად არ წახვალთ სადმე; ისე შორს-კი უნდა წახვიდეთ, რომ აღარც გაზეთი და აღარც კალმები თვალით არა ჰნახოთო. ერთხელ იქამდე გამოვბრუნდი, რომ რამდენისამე წუთით ჩემივე სახელი დამავიწყდა და თუმცა ბევრსა ვცდილობდი, ვეღარ მომეგონებინა.

დასასრულ აი რა ამბავს მოგვითხრობს ქ-ნი სკავრონსკისა:

ერთს მსახურს რედაქციისას, რომელსაც ხელის მომწერლების მიღება ჰქონდა მინდობილი, ისეთი საქმე დაემართა, რომ ახალის წლის დასაწყისს ელანდებოდა, ჩემ წინ რიგრიგად, მწკრივად და რაზმად ადიან-ჩადიან ხელის-მომწერლებიო. ერთი წელიწადი ვერ გასტანა საბრალომ, ჭკუიდგან შეიშალაო.

ეს უკანასკნელი ამბავი ჩვენში, რაღა თქმა უნდა, არავის დაემართება.

# რუსეთი

—

სასულიერო უწყებას განზრახვა აქვს ზოგიერთ ეპარქიაში გაჰმართოს სასწავლებლები, რომლებშიაც საპედაგოგო კლასებიც იქმნება მთავარ-დიაკვანთა მოსამზადებლად. ამ სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულთ დიაკვნებად დანიშნავენ ეკკლესიებში და ამათვე ჩაჰბარდებათ მასწავლებლობა საეკკლესიო სამრევლო სასწავლებლებისა.

—

საგანგებო კომისია, რომელიც შესდგა ფინანსთა მინისტრის ივაშჩენკოვის თავმჯდომარეობით, ამ დიდ-მარხვაში დაამთავრებს განხილვას გერბის გარდასახადის წესდებისას და თავისს მოხსენებას წარუდგენს სახელმწიფო საბჭოს. კომისიის მოხსენებით საჭიროა სრულიად მოისპოს 80 კაპეიკიანი მარკები და იმის მაგიერად შემოღებულ იქმნას 1 მანათიანი და 50 კაპეიკიანი მარკები.

—

მომავალს კვირას განიხილავს სახელმწიფო საბჭო იმის პროექტს, რომ რუსეთის იმპერიაში ყველგან არაყი ხაზინის მიერ ისყიდებოდეს. განზრახვა აქვთ ასეთი წესი ნელნელა შემოიღონ 1900 წლის პირველ ივლისიდგან, ს.-პეტერბურგის გუბერნიასა და ვისლის მხარეში, სადაც ეს წესი შემოღებულ იქმნება 1898 წელს.

—

ფინანსთა მინისტრის განკარგულებით, 28 თებერვალს სახელმწიფო ბანკის ეზოში, „სადავოი“ ქუჩაზედ საგანგებოდ გაკეთებულს ღუმელში დასწვეს 37,500,000 მანათის ქაღალდის ფული. ფულის დაწვას დაესწრნენ ფინანსთა მინისტრის თანაშემწე, ივაშჩენკოვი, სახელმწიფო ბანკის საბჭო, ამავე ბანკის უფროსი მოხელენი და პეტერბურგის ბირჟის წარმომადგენელნი. ქაღალდის ფულის დაწვის შემდეგ სახელმწიფო ბანკში შეტანილ იქმნა 37,500,000 მანათის ოქროს ფული.

# დამაკვირდი

(მოწერილი)

ტანჯვას თავისი სიამოვნება აქვს, მეტადრე მაშინ, როდესაც ჰგრძნობს

---

ხშირად ქუჩაში გაისმის მუსიკის ხმა. ლონდონში ყველას უყვარს სიმღერა. მომღერლებმაც კარგად იციან, ვის რა სიმღერა უნდა უმღერონ. ზღვაოსანს უმღერიან: ოხ, შენ ჩემო კარგო გემოო“, ან კიდევ: „შორეულ ზღვაში ვიყავიო“. სოფლიდგან ლონდონში მოსულ მუშებს უმღერიან სოფლის სიმღერებს. სადაც ახალგაზდა ქალებს და კაცებს ჰნახავენ, სიყვარულის შესახებ დაუწყებენ მღერას და სხ.

ლონდონში და ინგლისის სხვა ქალაქებში მრავალი ხალხი სცხოვრობს მუსიკითა და სიმღერით. ქუჩის მომღერალი თითონვე სთხზავს სიმღერას. რა სიმღერას არ გაიგონებს კაცი ლონდონში? ზოგი ომსა დაჰმღერის, ზოგი სიყვარულს, ზოგი ცოლ ქმართა ჩხუბს. ქუჩის მომღერალი ხშირად ულმობელად დასცინის მთავრობას, პოლიტიკას, პარლამენტს. რამე შესანიშნავი ამბავი რომ მოხდეს ინგლისში, ქუჩის მომღერლები მაშინვე შესაფერს ლექსს გამოსთქვამენ. ზოგჯერ ხალხს ისე მოსწონს სიმღერა, რომ ყველა აძლევს თითო გროშს; ზოგჯერ-კი, თუ სიმღერა არ მოეწონათ, იმდენს ურტყამენ, რომ მომღერალი თავს ძლივს დააღწევს ხოლმე ცოცხალს. მაგრამ რა, თუ ერთს უბანში არ მოსწონთ სიმღერა, მეორე უბანში მოუწონებენ. აქა სცემენ, იქ ფულს აჩუქებენ. აქ ერთს სიმღერას იტყვის, იქ მეორეს. ზარალი და მოგება ხომ ძმები არიან!

ინგლისელებს ძლიერ უყვართ ეგრედ წოდებული პონჩის წარმოდგენა; პონჩის წარმოსადგენად ორი კაცი დადის; ერთს პატარა თეატრი დააქვს, ხისა, მეორეს დიდი დოლი უჭირავს ხელში და, რაც შეუძლიან, უბრახუნებს. ამასვე კისერზედ აქვს შემობმული პატარა სალამურები. ერთის სალამურით ბოხის ხმით ლაპარაკობს, მეორეთი—წვრილ ხმაზედ, ასე გეგონებათ, ქალის ხმა არისო. დანარჩენები სიმღერისათვის არის. მანამ წარმოდგენა დაიწყებოდეს, უსტვენს სილამურს და უკრავს დოლს. მაშინვე ხალხი შეგროვდება. ასეთი წარმოდგენა ძლიერ უყვართ ინგლისელებს. თვით ლორდებიც-კი გაჩერდებიან ხოლმე და შესცქერიან ამ წარმოდგენას. აიხდება ფარდა და სცენაზედ გამოდიან ხის ტიკინები, ლაპარაკობენ, სცეკვავენ, მღერიან და ბოლოს უსათუოდ ერთმანეთსა სცემენ ჯოხებით. პონჩი, როგორც მოგახსენეთ, ძლიერ უყვარს მდაბიო ხალხს. აქ, სცენაზედ, ათას ნაირი წარმოდგენა იმართება, მაგრამ უპირველესი გმირი—პონჩია. პონჩს უნდა ეტყობოდეს სიმამაცე, სიმკვირცხლე და ყველაზედ უფროკი ოხუჯობა. უნდა მოგახსენოთ, რომ საზოგადოდ ინგლისელებს ოხუჯობა ძლიერ უყვართ. ხალხი სულს განაბამს ხოლმე და აღტაცებით შესცქერის პონჩს (ხის ტიკინს), რომელიც დანაშაულის გამო ციხეში ზის, მაგრამ ისე იქცევა, ვითომც ბუზიც არ აჰფრენიაო; სიკვდილით-დასჯის განჩინებას რომ უკითხავენ, წარბსაც არ იხრის და თამამად მიდის სარჩობელაზედ. მაგრამ, როდესაც ჯალათი მიუახლოვდება და უნდა დაარჩოს, მოჰკიდებს ჯალათს ხელსა და სახრჩობელაზედ ჩამოაკონწიალებს. ამ დროს ხალხის აღტაცებას საზღვარი არა აქვს. იქნება ბრძანოთ, ეს ხომ უზნეო და სამართალის წინააღმდეგი წარმოდგენა არისო. თქვენი ნებაა, მაგრამ ეს-კი უნდა მოგახსენოთ, რომ ვაი იმის ბრალი, ვინც ასეთს წარმოდგენას შესცვლის და არ დააცლის, რომ პონჩმა ჯალათი ჩამოარჩოს. ერთს ამ გვარ თეატრის პატრონს იმდენი სცემეს, რომ სიკვდილის პირას მიაგდეს იმისთვის, პონჩმა რატომ არ ჩამოარჩო ჯალათიო.

ლონდონი განთქმულია აგრეთვე ბურუსითა და კომლით. კომლი ამოდის მრავალ ქარხნების ბუხრებიდგან და მთელს ქალაქსა ჰფარავს. მოწმენდილს ცას ძლიერ იშვიათად დაინახავს კაცი ლონდონში, მაგრამ ამ დროსაც-კი ნისლია ჰაერში. ზოგჯერ-კი მთელს ლონდონს ისეთი ბურუსი მოიცავს ხოლმე, რომ ქალაქში წყვდიადი სუფევს, სრულიად არა მოჩანს-რა. მართალია, ასეთი დღე იშვიათია ლონდონში, მაგრამ უნდა იცოდეთ, რა დღეა ეს დღე. ამ დროს ბურუსი ედება ყველაფერს და თითი რომ გატაკონ თვალში, ვერ დაინახავთ. ფარნები არაფრად არის გამოსადეგი. თვით ფარანს რომ წააწყდეს კაცი, მაინც ვერაფერს დაინახავს. ქუჩებში ამ დროს არავინ დადის, არც ფეხით და არც ეტლით. მუშაობა ყველგან აღკვეთილია. მთელს ქალაქს თითქოსა სძინავს. მხოლოდ ქვაფენილზე მოისმის ჯოხის რაკუნი. „გამცილებელი ვის გინდათ, გამცილებელი“? ჰყვირის ვიღაც და ჯოხს არაკუნებს ქვა-ფენილზედ. ეს ბრმა გახლავს, რომელიც ამ დროს თვალხილულს გზას უჩვენებს და დაჰყავს ქუჩაში. ასეთს დროს თავის ქოხებიდგან გამოდიან ბრმები ფულის საშოვნელად. ბრმას თვალ-ხილული დაჰყავს. თვალ-ხილული კაცი იკარგება, როდესაც წყვდიადი დგება. უსინათლო კაცისთვის სიბნელე არ არის, იგი სიბნელის დროსაც ისეთისავე სიფთხილით დადის ჯოხით ქალაქში, როგორც მზიან დღეს. მუშაობა, ვაჭრობა, მოძრაობა ქუჩაში სრულიად შეჩერებულია ამისთანა დღეს. ასიათასობით უსაქმოდა რჩება ამ დროს ხალხი და ქუჩებში და რკინის გზებზედ მრავალი უბედურება მოხდება ხოლმე.

ლონდონში, რა თქმა უნდა, ბევრი მაღალი და მდიდრული სახლია, მაგრამ რაღაც ნაღვლიანად და პირქუშად გამოიყურებიან. ჯერ ერთი რომ, აქ ყველა სახლი უთუოდ ნაცრის ფრად არის შეღებილი. ლონდონში აუარებელი მაღაზიაა, მაგრამ მათი სიმდიდრე კაცს თვალში არ ეცემა, გასაყიდი საქონელი გამოფენილი არ არის, როგორც პარიჟსა ან ევროპის სხვა დიდ ქალაქებში. ინგლისელი ვაჭარი საჩვენებლად არ აწყობს საქონელს, კაცის თვალს არ იტყუებს. ვაჭარი დიდს ფულს ჰხარჯავს განცხადებაზედ, ძლიერ დიდს ფულსა, მაგრამ ეს არის და ეს. სხვა არავითარს ღონის-ძიებას აღარა ჰხმარობს და თვით საქონლის სიკეთის იმედი აქვს. ლონდონში კაცი ვერა ჰნახავს მაღაზიაში იაფ-ფასიან ლამაზს საგანს, რომელიც მეორე დღესვე გაფუჭდება. ინგლისელი ყველაფერში დიდ ფულს აძლევს, მაგრამ თანა თხოულობს, რომ ნასყიდი საქონელი და ნივთი ყოველის მხრივ კარგი, გამოსადეგი და გამძლე იყოს.

ლონდონში ძლიერ ბევრია დიდრონი სახლები და სასტუმროები. ზოგი სახლი ათ-სართულიანია, ზოგი თორმეტისა, ცამეტისა... თოთხმეტ სართულიანი სახლიც-კი ძლიერ ბევრია. გაიდ-პარკიდგან დაწყებული ჩრდილოეთისაკენ მრავალი ბაღია, ბალკონები, აივანები, მშვენიერი ვენახები, ყვავილნარები, საკვირველი ქანდაკებანი... ყველა ეს მეტად საუცხოვოდ ამშვენებს სახლებს. დიად, მშვენივრად სცხოვრობს ლონდონში მდიდარი ხალხი და წარმოიდგინეთ, რომ ზოგი მდიდარი კაცი მხოლოდ ორ-სამ თვეს ატარებს აქ წელიწადში. დანარჩენ დროს მთელი სახლი დაკეტილია და მხოლოდ მოსამსახურეები რჩებიან შიგა. ბატონები ამ დროს სადმე ნეაპოლსა ან ნიცაში მიბრძანდებიან...

ლონდონს, ამას გარდა, კიდევ ბევრი თვალ საჩინო თვისება და ღირსება აქვს, რომლის ამბავსაც სხვა დროს მოვახსენებთ მკითხველს.

ისკანდერ-აღა-უსუფ-ოღლი

ადამიანი, რომ ჩემი ტანჯვა საფუძველია სხვისის ბედნიერებისაო.

***

ვინც ბედნიერებას მხოლოდ თავისის თავისათვის ეძებს, იგი ვერასოდეს ვერ ეღირსება.

***

ყოველი ნაბიჯი ადამიანისა გონების ცხრილში უნდა იყოს გატარებული, რადგან, როდესაც გონება გრძნობას ემორჩილება, ადამიანის მოქმედების ხელმძღვანელი შეცდომაა.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

პარიზში 1900 წელს გაიმართება მსოფლიო გამოფენა. ფრანგები ძლიერ ემზადებიან ამ გამოფენისთვის და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ გამოფენა საუკეთესო გამოდგეს. სხვათა შორის ფრანგები ჰფიქრობენ, კარგი იქმნება, რომ პარიზში საპატიმროები აღარ იყოს, რადგანაც მაზასისა და როკეტის საპატიმროების დანახვა ვერაფერი სასიამოვნო არის არც თვით ფრანგებისა და არც უცხოელთათვისაო. დიაღ, 1900 წლამდე პარიზში საპატიმროები აღარ იქმნება, მაგრამ არ იფიქროთ კია, რომ დამნაშავენი თავისუფლად ისეირნებენ!

პარიზი ერთს დიდს საპატიმროს აშენებს ფრენში (სენას დეპარტამენტი) იმ დამნაშავეთათვის, რომელთაც სასამართლო მიუსაჯავს დიდის ხნის დაპატიმრებას, ჩამორჩობას და სხვ. აქვე დააპატიმრებენ ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლებს, რომელნიც საწინააღმდეგო რამ წერილისთვის სამართალში იქნებიან მიცემულნი.

საფრანგეთის ჟურნალისტები ამით ძლიერ აღელვებულნი არიან და ეხლავე ჰკიცხავენ მთავრობის ამ გვარს განზრახვას.

ფრენის საპატიმროს აშენებს ხუროთ მოძღვარი პუსენი და სცდილობს რაც შეიძლება უკეთესი შენობა ააგოს.

საპატიმროში გამართული იქმნება სულ ახალი მანქანა, რომელიც ჰაერს გასწმენდავს თითოეულს ოთახში. ღამე მთელი საპატიმრო ელექტრონით იქმნება განათებული. დღისითაც თითოეულ ოთახში ნათელი იქმნება, რადგანაც ოთახის ფანჯრებს ორი ადლი სიმაღლე ექმნება და ერთი ადლი სიგანე. კედლები მწვანედ იქმნება შეღებილი და ხომ დამტკიცებულია, რომ ეს ფერი თვალისთვის სასიამოვნო და სასარგებლოა. მაგიდას მაგიერად კედელში იქმნება გამართული დიდი ფიცარი, რომელსაც პატიმარი საჭიროების დროს გადმოსწევს და როცა აღარ უნდა, ისევ კედელზედ მიაკრავს და პატარა ოთახში ამ გვარად უფრო მეტი ადგილი იქმნება.

*
* *

პარიზის ერთს სამკურნალოში საკვირველი ამბავი მომხდარა. ერთსა და იმავე დღეს 9 ავადმყოფი ჭკუაზე შემცდარა ერთმა ავადმყოფმა წამოიწია ლოგინიდგან და დაიძახა: „მე მეფე ვარ!“ მეორე ყვიროდა: „მე ვერ მიცნობ? დიდი ნაპოლეონი ვარ!“ ერთი 80 წლის ავადმყოფი ქალი წამოდგა ლოგინიდგან, გაეხკია ხეწარში და ყველას ეუბნებოდა: „მოდით, მომეხვიენით, მე მიქელ-გაბრიელი ვარ, მოვედი გაუწყოთ, რომ ქვეყნის აღსასრულის საათმა დაჰკრა.“ ჭკუაზედ შემცდარი რვა კაცი სულით ავადმყოფთა სამკურნალოში გადიყვანეს. ამ საკვირველის ამბის მიზეზი ჯერ ვერ გამოუკვლევიათ.

*
* *

შოტლანდიის ნაპირას, იმ ადგილას, სადაც მდინარე ფონტი ერთვის ზღვას, დიდი ყურეა, ამ ყურეზედ რკინის გზის გაყვანა მეტად ძნელი იყო, რადგანაც აქ ხშირად დიდი ღელვაა ხოლმე და ამიტომ ედინბურგიდგან მიმავალ რკინის გზის ლიანდაგი 220 ვერსის მანძილზედ უვლიდა ზღვის ნაპირს. ნავებით გადასვლაც ამ ყურეზედ მეტად ძნელი იყო ღელვის გამო და ამიტომ 1883 წელს შეუდგნენ უდიდესის ხიდის გაკეთებას და კიდევაც გააკეთეს. თუმცა ეს არც ისე ადვილი საქმე იყო, ხიდი თურმე 2 ვერსისა და 185 საჟენის სიგძეა და მისი გაკეთება დაჯდა 25 მილიონი მანათი. თითო ბურჯის სიმაღლე წყალს ზევით 123 საჟენია. ამ ხიდის გაკეთებაზედ ყოველ-დღე მუშაობდა 4—5 ათასი კაცი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 მარტი

**კელნი.** „კელნის გაზეთს“ აუწყებენ: „მეამბოხეებმა სროლა დაუწყეს უცხო ქვეყნის აფიცრებს. ამის გამო საფრანგეთისა, ინგლისისა და იტალიის გემების უფროსებმა დაადგინეს, ხუთშაბათს ყუმბარები დავუშინოთ სოფელს ეპისკოპს სამ გზის სროლითაო. ეს დადგენილება მეამბოხეთაც გამოუცხადეს. ქალაქი უცხო ქვეყნის ჯარებს აქვთ დაჭერილი. დამშვიდებულია“.

**პარიჟი.** პრეზიდენტმა ფორმა დეპეშით მისწერა ხელმწიფე იმპერატორს: „გიცხადებთ, თქვენო უდიდებულესობავ, გრძნობას მწუხარებისას, რომელიც მაგრძნობინა ამბავმა „სისოე ველიკი“-ს გემზედ მომხდარ უბედურებისამ. დიდად თანავუგრძნობ რუსეთის ფლოტის მამაც აფიცრებსა და მეზღვაოსნეთა“. მისმა უდიდებულესობამ უპასუხა: „დიდად მასიამოვნა იმ ამბავმა, რომ თანაგრძნობას უცხადებთ რუსეთის ფლოტს „სისოე ველიკი“-ს გემზედ მომხდარ სამწუხარო შემთხვევისა გამო“.

**ალჟირი.** მემკვიდრე ცესარევიჩი ბონიდგან მოვიდა „ზარნიცი“-ს გემით,

**პარიჟი,** საისტორიო საზოგადოების სურვილითა და მოთავეობით, დღესასწაული წლის შესრულებისა მას შემდეგ, რაც მეფე და დედოფალი პარიჟს იყვნენ, იმითი იქმნა გარდახდილი, რომ რკინის გზის სადგურზედ ძეგლი დაიდგა და იკურთხა.

**პარიჟი.** დეპეშით იუწყებიან, რომ გატერასის კონცხთან დაიღუპა გემი „Ville St. Nazaire“ გემის მსახურებითა და 80 მგზავრითურთ; მხოლოდ ოთხი სულია გადარჩენილი.

**კონსტანტინეპოლი.** ავსტრიის საელჩომ პორტას ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ უსკუბში მაჰმადიანები ძალმომრეობას ჰხმარობენ ქრისტიანებზედ და საზოგადოდ ეს ადგილი უშიშარი არ არისო.

ლონდონში მყოფმა სომეხთა კომიტეტმა სთხოვა სომეხთა პატრიარხს, ურჩიეთ და აიძულეთ პორტა შეასრულოს თავისი დაპირება ცვლილებათა შემოღების შესახებ, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ მოქმედებაზედ მიდგება საქმეო.

**ვენა.** ავსტრიის სამხედრო გემმა კონცხთან გასინჯა პატარა გემი, რომელიც, როგორც ეგონათ, საომარ სამზადისითა და სანოვაგით იყო დატვირთული. მეამბოხეებმა დაუწყეს სროლა ავსტრიის გემს. ამანაც სროლითვე გასცა პასუხი. პატარა გემი სრულიად დახვრეტილია და წყალმა დასძირა; მეამბოხენი გარეკილ იქმნენ. ავსტრიის სამხედრო გემზედ დაჭრილი არავინ არის.

**ქანეა.** კრიტის ალყის შემორტყმას დაიწყებენ კვირა დილით. დიდთა და განკერძოებულ სახელმწიფოთა გემებს უფლება ექმნებათ ტვირთი დასცალონ, თუ იგი საბერძნეთის ჯარისა ან კუნძულის მცხოვრებთათვის არ არის მოტანილი. ესკადრათა უფროსებმა წინადადება მისცეს საბერძნეთს, გემები მოაშორეთ კუნძულსაო. თუ ეს თხოვნა აღსრულებულ არ იქმნა, 9 მარტს ძალით წაიყვანენ ამ გემებს.

**პეტერბურგი.** ინიშნება დრაგუნთა სევერსკის რაზმის უფროსი პრინცი ლიუდოვიკო ნაპოლეონი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელობის ულანთა ლეიბ-გვარდიის უფროსად.

**პეტერბურგი,** 1 მარტი. მეორე შინაგან სესხის მომგებიან ბილეთების ტირაჟში ხუთას მანათიანი მოგებანი ჰხვდა შემდეგს ბილეთებს:

| №№ ბილეთისა. | №№ სერიისა | №№ ბილეთისა. | №№ სერიისა. | №№ ბილეთისა. | №№ სერიისა. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 328 | 16 | 10,199 | 33 | 16,622 |
| 1 | 2,563 | 16 | 12,232 | 34 | 6,656 |
| 1 | 3,240 | 16 | 13,118 | 34 | 14,992 |
| 1 | 5,808 | 16 | 13,393 | 35 | 4,266 |
| 1 | 8806 | 16 | 17241 | 35 | 4780 |
| 1 | 10495 | 16 | 17378 | 35 | 6590 |
| 1 | 11958 | 17 | 3067 | 35 | 11796 |
| 1 | 13969 | 17 | 5651 | 35 | 12681 |
| 1 | 17633 | 17 | 9585 | 36 | 18904 |
| 1 | 17763 | 17 | 11523 | 36 | 49 |
| 2 | 4452 | 17 | 13387 | 36 | 1358 |
| 2 | 6403 | 17 | 14231 | 36 | 3617 |
| 2 | 7986 | 17 | 17473 | 36 | 6061 |
| 2 | 19338 | 18 | 678 | 36 | 7861 |
| 3 | 854 | 18 | 985 | 36 | 8320 |
| 3 | 6572 | 18 | 10730 | 36 | 8499 |
| 3 | 7548 | 18 | 11802 | 36 | 10310 |
| 4 | 3253 | 18 | 18616 | 36 | 14514 |
| 4 | 8581 | 19 | 2810 | 36 | 18382 |
| 4 | 10819 | 19 | 6637 | 36 | 18867 |
| 4 | 11627 | 19 | 9905 | 37 | 4298 |
| 4 | 11635 | 19 | 13028 | 38 | 6359 |
| 4 | 12701 | 19 | 13037 | 38 | 14184 |
| 5 | 557 | 19 | 14372 | 38 | 1570 |
| 5 | 640 | 19 | 17937 | 38 | 2236 |
| 5 | 2207 | 19 | 18284 | 38 | 11416 |
| 5 | 12829 | 20 | 563 | 38 | 14777 |
| 5 | 15,851 | 20 | 2,721 | 39 | 4,927 |
| 6 | 3,578 | 20 | 3,335 | 39 | 9,152 |
| 5 | 6,453 | 20 | 3.964 | 39 | 10,677 |
| 6 | 8,219 | 20 | 14,512 | 39 | 14,081 |
| 6 | 9,923 | 21 | 2,627 | 39 | 18,785 |
| 6 | 11,117 | 21 | 9,060 | 39 | 19,065 |
| 6 | 14,175 | 22 | 9,822 | 40 | 8,195 |
| 7 | 469 | 22 | 12,624 | 40 | 8,919 |
| 7 | 6,530 | 23 | 2,744 | 40 | 11,454 |
| 7 | 7,054 | 23 | 7,845 | 40 | 11,434 |
| 7 | 7,054 | 23 | 7,845 | 40 | 12,067 |
| 7 | 8,383 | 23 | 10,999 | 40 | 15,267 |
| 7 | 8,710 | 23 | 15,305 | 41 | 4,731 |
| 7 | 17,377 | 24 | 10,884 | 41 | 5,268 |
| 8 | 1,311 | 24 | 14,605 | 41 | 15,269 |
| 8 | 4.989 | 24 | 16,995 | 42 | 289 |
| 8 | 7,470 | 25 | 6,615 | 42 | 11,424 |
| 8 | 14119 | 25 | 8,903 | 42 | 12,503 |
| 8 | 16,971 | 25 | 10,757 | 42 | 12,977 |
| 8 | 16,996 | 25 | 10,797 | 42 | 14,029 |
| 8 | 17,130 | 25 | 11.349 | 42 | 17,594 |
| 8 | 17,585 | 25 | 19,547 | 43 | 4,588 |
| 8 | 19,427 | 26 | 4,437 | 43 | 9,714 |
| 9 | 10,100 | 26 | 8,258 | 44 | 3,914 |
| 9 | 10,422 | 26 | 11,050 | 44 | 10,363 |
| 9 | 10,761 | 26 | 13,910 | 44 | 11,707 |
| 9 | 12,365 | 26 | 17,894 | 44 | 11,912 |
| 9 | 19,223 | 26 | 18,824 | 44 | 16,802 |
| 10 | 266 | 27 | 1,591 | 44 | 18,291 |
| 10 | 6,758 | 27 | 6,354 | 45 | 8,491 |
| 10 | 11,300 | 27 | 7,754 | 44 | 10,145 |
| 11 | 2,656 | 27 | 8,075 | 45 | 10.215 |
| 11 | 4,899 | 27 | 8,572 | 45 | 12,264 |
| 11 | 5,178 | 27 | 9,252 | 46 | 308 |
| 11 | 6,602 | 27 | 12,951 | 46 | 7,677 |
| 11 | 9,185 | 27 | 18,049 | 46 | 10,459 |
| 11 | 19,179 | 27 | 18,762 | 46 | 11,081 |
| 12 | 2,665 | 27 | 19,735 | 46 | 14,029 |
| 12 | 7,067 | 28 | 13,229 | 47 | 6,064 |
| 12 | 10,593 | 29 | 5,946 | 47 | 6,507 |
| 12 | 11,705 | 29 | 9,238 | 47 | 8,297 |
| 12 | 12,499 | 26 | 15,314 | 47 | 11,417 |
| 13 | 4,674 | 29 | 15,754 | 47 | 13.460 |
| 13 | 7,980 | 30 | 5,461 | 47 | 14,385 |
| 13 | 11,447 | 30 | 10,004 | 47 | 14,468 |
| 13 | 15,025 | 30 | 11,792 | 47 | 15,068 |
| 13 | 18,479 | 30 | 15,264 | 57 | 18,027 |
| 13 | 18,663 | 30 | 16,597 | 47 | 18,027 |
| 14 | 399 | 30 | 17,871 | 48 | 1,842 |
| 14 | 5,820 | 30 | 18,890 | 48 | 2,175 |
| 14 | 9,950 | 31 | 11,614 | 48 | 2,457 |
| 14 | 27,220 | 31 | 12,058 | 48 | 2,994 |
| 15 | 5,845 | 31 | 16,189 | 48 | 6,818 |
| 15 | 8,895 | 32 | 8,316 | 49 | 7,042 |
| 15 | 11,240 | 32 | 8,491 | 49 | 13,522 |
| 16 | 539 | 32 | 11,292 | 50 | 457 |
| 16 | 905 | 33 | 3,508 | 50 | 3,317 |
| 16 | 2,774 | 33 | 8,817 | 50 | 4,952 |
| 16 | 3,847 | 33 | 13,471 | 50 | 8,968 |
| 16 | 5,783 | 33 | 14,260 | 50 | 11,273 |
| 16 | 8,145 | 33 | 15,442. | | |

№№ ტირაჟში გამოსულ სერიებისა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 13,664, | 7,130, | 9,963, | 17,215 |
| 18,211, | 6,089, | 3,644, | 12,059 |
| 8,270, | 10,923, | 18,224- | 13,429 |
| 3,683, | 2,389, | 1,746, | 16,710 |
| 8,151, | 14,245, | 8,155, | 2,297 |
| 2,996, | 12,170, | 15,048, | 16,424 |
| 18,659, | 13,746, | 5,992, | 15,177 |
| 12,737, | 15,329, | 14,677, | 4,273 |
| 10,790, | 12,421, | 6,525, | 4,015 |
| 1,361, | 1682, | 16,480, | 17,895 |
| 11,994, | 12,181, | 3,704, | 7,072 |
| 3,603, | 3,617, | 3,634, | 6,535, |
| 9,027, | 18,899, | 13,192 | 16.963, |
| 19,393, | 16,123, | 9,198, | 18,542, |
| 5,023, | 11,166, | 10,444, | 6,183, |
| 16,595, | 18,132, | 16,369, | 9,567, |
| 16,467, | 6,240, | 6,548, | 15,719, |
| 11,213, | 6,310, | 15,744, | 4,267, |
| 4,739, | 795, | 17,103, | 13,485, |
| 1,737, | 13,232, | 18,019, | 1,931, |
| 1,941, | 480, | 9,933, | 10,126, |
| 8,922, | 12,976, | 79, | 18,200, |
| 19,465, | 5,217, | 6,551, | 4,519, |
| 6,663, | 8,138, | 18,372, | 8,464, |
| 7,934, | 5,459, | 2,219, | 772, |
| 19,758, | 7,321, | 16,282, | 8,183, |
| 4,233, | 1 ,356, | 11,586, | 13,269, |
| 16,978, | 8,885, | 19,418, | 1,858, |
| 4,632, | 19,037, | 19,037, | 15,409, |


# განცხადებანი

თამარის სურათი ატლასზე შეკერილი ბალიშებისთვის . . . . . . 2 მ. კ.

აბაჟური ექვს ცნობილ მწერალთა სურათებით . . . . . . . 3 „ „

აბრეშუმის ცხვირსახოცები იმავე მწერალთა სურათებით . . . . 60 კ.—80 კ.

წიგნებში ჩასადები ლენტი . . . . . . . 25 კ.—30 კ.

ვინც ბევრს იყიდის, იმას იაფად დაეთმობა. ვისაც ჰსურს თავისი სურათი ამოაკერინოს, შეუძლიან მიჰმართოს ამ ადრესით: ტფილისი, საპიორის ქუჩა, სახლი № 12, მურადოვისა, ა. როდიონოვისას. (5)

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღს ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул. (3)

ოთხშაბათს, 5 მარტიდგან იწყებს თავისს მოქმედებას

**ალებ-მიცემა შუამავალი,**

სადაც მყიდველს შეეძლება შეიძინოს პირიანად საუკეთესო გასტრონომიული და საბაკალეო საქონელი და აგრეთვე ყოველგვარი სასმელები, როგორც ადგილობრივი, აგრეთვე რუსეთისა და საზღვარგარეთისა. მაღაზიაში დაცულ იქმნება მკაცრად ზრდილობა და სისუფთავე.

ადრესი: ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, სახლი თ-დ კ. ი. მუხრან-ბატონისა, № 6/1.

(3—83—3)

გამოვიდა და ისყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში ახალი წიგნი

**ბახტრიონი**

ისტორიული პოემა

ვაჟა-ფშაველასი.

(ავტორის სურათით, ბიოგრაფიით და ნახატებით).

შეიცავს 88 გვერ. (XVI+72)

ფასი ერთი აბაზი,

უმთავრესი საწყობი გამომცემლების მაღაზიაში.

ფოსტის ადრესი: Георгіевская, № 14. Книжная торговля т-ва I. Имедашвили и С. Челидзе.

(5—5)